



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 97 (3074) 22 მაისი. 1966 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

თბილისელ სპორტისმოყვარულებს დიდხანს ემახსოვრებათ ტანმოვარჯიშე ქალთა ამასწინანდელი საერთაშორისო ტურნირი. ეს ჭეშმარიტად სილამაზის ზეიმი გახლდათ, ვინაიდან მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების, ევროპის, სსრ კავშირისა და ეროვნულ ჩემპიონთა ასეთ კრებულს ხშირად როდი შეხვდებით.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — გდრ-ის წარმომადგენელი უ. შტარკე, რომელიც საუკეთესო იყო ტურნირის უცხოელ მონაწილეთა შორის; მარჯვნივ — სსრ კავშირის ნაკრების წევრი გ. ბურუჩევა.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## აღმავლობით!

კიევი, 21 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეორე დღეს თბილისის „ბურევესტნიკი“ ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ შეხვდა.

ზაპოროჟიელთა მწვრთნელმა ვერ მონახა ჩვენს წინააღმდეგ თამაშის სწორი გეგმა და ინიციატივას თავიდანვე თბილისელები დაეუფლნენ. იერიშების სული და გული იყო ფხაკაძე. მას კარგად აუბეს მხარი დანარჩენებმაც. თუ თავდაპირველად თავდასხმაში სუსტად თამაშობდა ზარდალიშვილი, შემდეგ იგი შეუდარებელი აღმოჩნდა დაცვაში.

მატჩის მეორე ნახევრის მე-10 წუთზე, როცა თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა გ. შარაშიძემ მოედანზე რეზერვი გამოიყვანა. აქ განსაკუთრებით კარგად ითამაშა კოპალეიშვილმა, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 20:10 (7:4). დანარჩენი ბურთები გაიტანეს: ცერცვაძემ — 5, ფხაკაძემ — 4, ზარდალიშვილმა — 3, ბაგრატიონმა — 2, ექსეულიძემ — 1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: 20 მაისი. „კუნცევო“ (მოსკოვი) — საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) 18:15 (8:8), „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი) 16:12 (8:7), ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) 19:15 (10:6). 21 მაისი. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) 23:17 (8:8), „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (ბაქო) 19:22 (9:11), „კუნცევო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 24:19 (11:9), „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი) — საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) 13:10 (6:6), ტირასპოლის გუნდი — ასკ (კიევი) 16:24 (6:12).

ჯ. ენუქიძე.

## მატჩი ძლიერ მეტოქესთან

**ბრიუსელს ჩავიდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელსაც დღეს აქ საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ექნება ბელგიის ეროვნულ ნაკრებ გუნდთან.**

მართალია, ბელგიის ფეხბურთელები გამოეთიშნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრების ავტორიტეტი საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში საკმაოდ დიდია. კერძოდ, საყოველთაო აღიარება ჰპოვა ბელგიელთა გამარჯვებამ პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან — 3:0.

ბელგიის ნაკრების ბირთვს კლავიდებურად წარმოადგენს ბრიუსელის „ანდერლეხტი“. რამდენიმე თვის წინ საავტომობილო კატასტროფას შეეწირა ბელგიელთა საუკეთესო სტოპერი ლ. ვერბიე, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა როგორც „ანდერლეხტი“, ისე ბელგიის ნაკრებიც. მისი ადგილი პარიზის მატჩში დაიკავა 32 წლის ლემუანმა. 30 წელს გადააბიჯა ცნობილმა ნახევარმცველმა ანონმაც, მაგრამ იგი კვლავინდებურად ძლიერად თამაშობს.

ნაკრების მთავარი ძალაა თავდასხმა, სადაც გამოირჩევიან „ანდერლეხტის“ ფორვარდები: შტოკმანი, ვან ჰიმსტი და პიუი. საიმედო ძალას წარმოადგენენ ახალგაზრდა მცველები ჰეილენსი, პლასკი და კორნელისი. გუნდის მწვრთნელი ვან დერ შტოკი დაცვაში ზოგჯერ ათამაშებს შპრონკსა და ბარეს. კარს მორიგეობით იცავენ ტრაპენიე და ნიკოლაი.

## ი. კოზელსკის რეკორდი

ამას წინათ ლუსელიძეში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა შესარჩევი შეჯიბრება. ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ი. კოზელსკი (ქუთაისის „დინამო“), რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 52,9 წამი — 0,2 წამით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი.

## ბურთი...

### „პენიაროლი“ — „რეალის“ მეტოქე

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესამე, გადამწყვეტი მატჩის ადგილად ადრე არჩეული იყო პერუს დედაქალაქ ლიმის ნეიტრალური სტადიონი. მაგრამ ბოლო მომენტში ეს არჩევანი შეცვლილ იქნა ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოთი. 45 ათასი ფეხბურთის მოყვარული, მათ შორის, ჩილის პრეზიდენტიც, მოწმე იყო საინტერესო, დაძაბული ბრძოლისა არგენტინის ჩემპიონ „რივერ პლეიტსა“ და ურუგვაის ჩემპიონ — „პენიაროლს“ შორის.

მართლაც, მატჩი უჩვეულოდ წარიმართა. პირველი ტაიმის დასასრულს არგენტინელები თითქოს სულ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან — 2:0 (ბურთები გაიტანეს ონეგამ და სოლარიმ), მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა. ურუგვაელები გადავიდნენ მძლავრ შტურმზე და სპენსერმა და მატოსასმა გაქვითეს ორივე გოლი — 2:2.

საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. ეს 30 წუთიც „პენიაროლის“ მწვავე იერიშით მიმდინარეობდა, რაც დამთავრდა იმავე სპენსერისა და როჩას მიერ გატანილი 2 გოლით. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 4:2.

ამრიგად, საკონტინენტთაშორისო თასისთვის ერთმანეთს შეებრძოლებიან „რეალი“ (მადრიდი)—„პენიაროლი“ (მონტევიდეო).

### 3 ჩემპიონი გამოვლინდა

ცხინვალის სარბიელზე გამოვლინდა ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის 3 ჩემპიონი. ესენი არიან:

ი. ჩუხრუკიძე (გორი) — უმჩატესი წონა;
ჯ. ხორბალაძე (კასპი) — მჩატე წონა;
ა. ზურაბაული (თბილისი) — ქვემძიმე წონა.

◆ **ბელგრადი, 21 მაისი.** იუგოსლავიის ფედერაცია პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს 1974 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვაზე. როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის იუგოსლაველმა წარმომადგენელმა, დოქტორმა მ. ანდრეევიჩმა განაცხადა, ეს ამბავი უკვე იცის ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა.

◆ **ჰელსინგბორგი, 21 მაისი.** შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საუცხოოდ ტყორცნა ბადრო ახალგაზრდა მძლეოსანმა ქალმა ანიტა ჰენტშელმა (მალე) — 57,96 მ. ეს გდრ-ის ახალი რეკორდი და მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიაში მეორე შედეგია. ჰენტშელზე უკეთ ბადრო მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენს, საბჭოთა მძლეოსან თ. პრესს უტყორცნია.

◆ **პარიზი, 21 მაისი.** საფრანგეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა პირველი მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 7:2. საფრანგეთის დედაქალაქში, როლან გაროს კორტებზე გამართულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

◆ **როსტოკი, 21 მაისი.** მშვიდობის XIX ველორბოლა XI ეტაპით (შეცინი—როსტოკი, 205 კმ) გდრ-ის ტერიტორიას ეწვია. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ველოსიპედისტმა ი. სმოლიკმა—5:24.33. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ბელგიელებმა. 11 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ფრანგი ბ. გიუიო. II ადგილზეა ა. დოხლიაკოვი (სსრ კავშირი). საბჭოთა სპორტსმენები კვლავ ლიდერობენ გუნდურ ჩათვლაში.



## გუნდურშიც, პირადშიც

სამტრედია, 21 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა ბათუმში ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ ასპარეზობა განაგრძეს. ძალამოკრებილმა სპორტსმენებმა V ეტაპზე (ბათუმი — სამტრედია, 113 კმ) ენერგიულად შეუტიეს გზას და ციხისძირამდე ერთად, საკმაოდ მაღალ ტემპში მიდიოდნენ. ჯგუფი ციხისძირის დაღმართში დაიშალა. 35-ე კილომეტრზე მოულოდნელად დაწინაურდნენ აზერბაიჯანის წარმომადგენლები ტ. ტოლმუცკი (ნაკრები) და ვ. ტოპორკოვი (II კოლექტივი). მათ დასაწევად თავი ერთხანს არავინ შეიწუხა. ძირითად ჯგუფში მხოლოდ 10 კილომეტრის გავლის მერე მოვიდნენ გონს და ერთბაშად ამუშავდნენ შეჯიბრების ლიდერი ე. მელკოვი, ა. მოროზოვი (ორივენი—აზერბაიჯანი), ი. კრასავცევი („დინამო“) და ა მოგუჩევი („კოლმეურნე“).

ამრიგად, შეიქმნა მრბოლელთა 3 ჯგუფი. სხვაობა „დუეტსა“ და „კვარტეტს“ შორის 55 წამს შეადგენდა, ხოლო მახარაძის მისადგომებთან ძირითადი ჯგუფი უკვე 1 წუთს აგებდა ოთხეულთან.

როცა მახარაძიდან გადიოდნენ, ჩამორჩენილთა ხვედრი მობეზრდა დინამოელ ე. მელკოვს. იგი ლონივრად დააწვა პედალს და მალე საგრძნობლადაც შეამცირა „კვარტეტთან“ სხვაობა, მერე შეუერთდა კიდეც მას და ლიდერთა „დუეტს“ ახლა 5 კაცი დაედევნა.

მდინარე გუბაზეულთან ლიდერებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს. უკან დარჩა ჩოხატაური. სამტრედიისკენ მიმავალ გრძელ, საკმაოდ რთულ დაღმართში მათ არა თუ შეანელეს სიჩქარე, პირიქით, მეტისმეტად რისკიანად იარეს და მდევრებს წამოწევის ყოველგვარი იმედი დაუკარგეს. ფინიშამდე 10 კილომეტრი რომ დარჩა, ა. მოროზოვი აღმართში მოულოდნელად გაექცა ამხანაგებს და ფინიშთანაც პირველი მივიდა — 2:58.55.

1 წუთისა და 42 წამის შემდეგ რბოლა დაამთავრა ექვსმა ველოსიპედისტმა. II ადგილი მიეკუთვნა ე. მელკოვს („დინამო“) — 3:00.37. ასეთივე შედეგით III ადგილზეა ა. მოგუჩევი. რაც შეეხება ძირითად ჯგუფს, იგი მხოლოდ 8 წუთის მერე გამოჩნდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის ნაკრებმა — 9.00.32 შემდეგ არიან „დინამო“ (9:08.19) და „კოლმეურნე“ (9:14.47).

5 ეტაპის ჯამში რბოლის სათავეში კვლავ აზერბაიჯანის ნაკრების წევრი ე. მელკოვია — 15:13.32. მას 2 წუთითა და 30 წამით ჩამორჩება თბილისელი ე. მელკოვი. III ადგილზეა ი. კრასავცევი — 15:17.27, IV — ა. მოგუჩევი — 15:17.35. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე ნაწილდება: 1. აზერბაიჯანის ნაკრები — 45.40.01, 2. „დინამო“ 45:59,05, 3. „კოლმეურნე“ — 46:08.17.

ეტაპზე საშუალო სისწრაფე 37,8 კილომეტრს შეადგენდა, ხოლო 5 ეტაპის ჯამში საშუალო სისწრაფე 37,1 კილომეტრია.

უნდა ითქვას, რომ სამტრედიაში ველორბოლის მონაწილეები ხეირიანად ვერ დააბინავეს; არ ვარგოდა საკვებიც.

# ხალიჩაზე ყრუ-მუნჯები არიან

დღეს, თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დარბაზში იწყება ყრუ-მუნჯ ათლეტთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვლენ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები. მონაწილეთა შორის ვიხილავთ ყრუ-მუნჯთა IX და X საერთაშორისო სპორტული თამაშების ჩემპიონებს, სპორტის ოსტატებს პ. სოლოვიოვს (ლენინგრადი), ა. მარტიუხინს (ყაზანი), ი. ჩერგესს (ოდესა), ა. სემერიაკოვს (ორჯონიკიძე), ვ. გორდეევს (სვერდლოვსკი), ი. აქსიონოვს (კრასნოდარი), ვ. ოკუნევს (მოსკოვი), ბ. მინასიანს (კრასნოდარი) და სხვ.

ყრუ-მუნჯთა საკავშირო ჩემპიონატი წლეულს პირველად ტარდება. ადრე მის ნაცვლად ეწყობოდა ყრუ-მუნჯთა რსფსრ-ს საზოგადოების წარმომადგენელთა შეჯიბრება, რომელშიც კონკურსგარეშე სხვა რესპუბლიკების მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ.

თბილისის ხალიჩაზე რუსეთის ფედერაცია 4 ნაკრებით იქნება წარმოდგენილი. პირველობისთვის იბრძოლებენ „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს (იგივე რსფსრ-ს ოლქების ნაკრები), „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს (იგივე ჩრდილოეთ ოსეთი), მოსკოვის პროფკავშირების საქალაქო საბჭოსა და ლენინგრადის პროფკავშირების საოლქო საბჭოს მოჭიდავეები. ამათ გარდა, გუნდურ შეჯიბრებაში გამოვლენ უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთის, სომხეთის, ლატვიის, ესტონეთისა და თურქმენეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოების ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრება სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ჩვენი ქვეყნის 80-მდე საუკეთესო ყრუ-მუნჯი მოჭიდავე გამოვა. აქ ძირითადად იქნებიან ოსტატები და პირველთანრიგოსნები.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეებმა ყრუ-მუნჯთა IX საერთაშორისო სპორტულ თამაშებში (1961 წ., ფინეთი) ოქროს 10 და ვერცხლის 5 მედალი მოიპოვეს. მომდევნო, X თამაშებში, ჩვენებმა ფაქტიურად გაიმეორეს წინა წარმატება (ოქროს 10, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი). გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მოჭიდავეებმა ორივეჯერ დიდი უპირატესობით გაუსწრეს მეტოქეებს.

წლევანდელი ჩემპიონატი ძალთა სერიოზული შემოწმებაა XI საერთაშორისო თამაშების წინ.

**ლ. მუხლია,**
ყრუ-მუნჯთა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავენი. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: თავისუფალ ჭიდაობაში — თ. თოფჩიევმა, ა. ვეშაპიძემ, ბ. მუჯირიშვილმა, ლ. კობიძემ, ვ. ქკადუამ, რ. შიშნიაშვილმა, ს. აბულაძემ, მ. შიოშვილმა, ვ. საღირიშვილმა და ი. ხომასურიძემ; კლასიკურ ჭიდაობაში — ს მხითარიანმა, გ. ნატროშვილმა, გ. მუჯირიშვილმა, ტ. ქვრივიშვილმა, ვ. კრავეიშვილმა, ზ. დაუშვილმა, გ. ფილიშვილმა, ი. გარუჩავამ, რ. ქარუმიძემ, შ. აბაშიძემ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ბ. მუჯირიშვილმა (მწვრთნელი ს. ბახტაძე), რომელმაც ყველას აჯობა როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში.

**სურათზე:** ბ. მუჯირიშვილი (ზემოდან) ამარცხებს თავის მეტოქეს.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.

# ამაღლდა ტექნიკა

## ხელბურთი

ხელბურთელთა ასპარეზობამ ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტობამ სპორტის ეს სახეობა უკვე შეიყვარა და კარგადაც დაეუფლა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სტუდენტ ხელბურთელთა თამაშის კლასი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა. ეს შეიმჩნევა არა მარტო თბილისის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების (გორის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და ცხინვალის) მაგალითითაც.

სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მნიშვნელოვანი წარმატების გვერდით ჯერ კიდევ ხშირად წააწყდებით ხოლმე გულსატკენ შემთხვევებს. პატარა-წაკლი როდია, მაგალითად, რომ მოასპარეზე გუნდების უმეტესობას სპორტული ტანსაცმელი არ უვარგოდა. ზოგჯერ კი მეტოქენი ერთნაირი ფორმით ცხადდებოდნენ მატჩზე.

**I ჯგუფის ვაჟთა გუნდების** ასპარეზობაში პირველობისთვის 6 კოლექტივი იბრძოდა. ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს და **I ადგილი გაინაღდეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელბურთელებმა.** II ადგილზე გავიდნენ უნივერსიტეტის, ხოლო III — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები.

დანარჩენ ჯგუფებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**ქალთა I ჯგუფი:** 1. უნივერსიტეტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. **ვაჟთა II ჯგუფი: 1. უცხო ენათა ინსტიტუტი,** 2. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, 3. სამედიცინო ინსტიტუტი. **ქალთა II ჯგუფი: 1. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი,** 2. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, 3. უცხო ენათა ინსტიტუტი. **ვაჟთა III ჯგუფი: 1. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი,** 2. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, 3. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი.

**ბ. გოძიაშვილი.**

## საქართველოს სტუდენტთა თამაშები

# 15 გუნდის მონაწილეობით

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნე მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა 12 კოლმეურნეობა, 2 საბჭოთა მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ჩემპიონის სახელი და ზესტაფონის კულტურის რაიონული სახლის გარდამავალი თასი მოიხვეჭა ძირულის კოლმეურნეობის გუნდმა (მწვრთნელი გ. გელაშვილი). II ადგილი წილად ხვდა პირველი სვირის კოლმეურნეობის ნაკრებს (მწვრთნელი ჯ. გიორგაძე), III — როდინაულის საბჭოთა მეურნეობის მოჭადრაკეთა გუნდს (მწვრთნელი ც. გოგბერაშვილი).

**ა. განუგრავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ზესტაფონი.



სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკის სპორტულ მოედანზე დამთავრდა „განთიადის" რაიონული პირველობა ფრენბურთში. ასპარეზობდა 7 გუნდი. I ადგილზე გავიდნენ ჩაის მექანიკური ქარხნის ფრენბურთელები (მწვრთნელი მ. ტორონჯაძე).

**სურათზე:** კულაშის საქსოვი ფაბრიკისა და ჩაის მექანიკური ქარხნის გუნდების ფინალური შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. ხელივეხტროვისა.

## რამდენიმე სტრიქონით

### ცხინვალი

გაიმართა ახალციხის და ცხინვალის ჭაბუკ მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა—6:3. მოეწყო აგრეთვე სავარეჯოსა და სამხრეთ ოსეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. ქართულ ჭიდაობაში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო (4,5:2,5), თავისუფალ ჭიდაობაში კი ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 4:4.

**ვ. მელქოევი.**

### ხაშური

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდური I ადგილი მოიპოვა სურამის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილზეა სურამის 1-ლი საშუალო სკოლა, ხოლო III — რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლა.

**ზ. მოსეშვილი.**

### ზუგდიდი

ტურისტული სეზონის ორგანიზებულად დაწყებისთვის ადგილობრივმა ტურბაზამ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია: კეთილმოეწყო ბაზის ეზო და ახლომახლო ტერიტორია, შეკეთდა ტურისტთა საცხოვრებელი ბინები (შეიძინეს ახალი კარვები და სხვ.). პირველ ტურისტებს 1 ივნისს მოელიან.

**ბ. ალშიბაია.**

### ხობი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ხობის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა. გოგონებშიც ყველას ამ სკოლის წარმომადგენლებმა აჯობეს.

**ს. არჯევანიძე.**

### მაიაკოვსკი

რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების ფეხბურთელთა 18 გუნდი მონაწილეობდა ტურნირში სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის პრიზზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დიმის სკოლისა და მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის სკოლის გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ დიმელებს (მწვრთნელი დ. ენდელაძე).

**გ. მეავანაძე.**

### ვანი

საქართველოს ხლკკ ვანის რაიონული კომიტეტისა და ადგილობრივი სპორტკავშირის ინიციატივით მოეწყო ველო-მოტოგადარბენა მარშრუტით: ვანი—ფოთი—ვანი.

**პ. კორძაძე.**

# ჭიდაობას რა უნდა...

### წითელწყარო

„კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირად-გუნდურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში ადგილობრივ სპორტისმოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ქვემოქედელმა ფალავნებმა. II ადგილზე გავიდა ზემო მაჩხაანის, ხოლო III — სოფ. ჯაფარიძის გუნდი. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ვ. მოსულიშვილმა (ზემო მაჩხაანი), ჯ. ჯღუთაშვილმა (ქვემო ქედი), ვ. ანდრიაშვილმა (ჯაფარიძე), რ. გავაშელიშვილმა (ზემო მაჩხაანი), გ. ნათათრალიშვილმა (ქვემო ქედი), გ. პეტრიაშვილმა (ზემო ქედი), გ. დურიშვილმა (ქვემო ქედი). მძიმე წონაში პირველობა არ გათამაშდა.

**ა. ჯალიაშვილი,**
**გ. უოჩიაშვილი.**

### ადიგენი

ადგილობრივ კულტურის სახლში ჩატარდა რაიონის პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ლ. რეხვიაშვილმა (მოხი), ს. აფრიამაშვილმა (არალი), ი. მეტრეველმა, თ. მეტრეველმა (ორივენი — მოხი), გ. მერაბიშვილმა (უდე), ბ. ფეიქრიშვილმა (არალი), ა. ლობჟანიძემ (მოხი). მძიმე წონაში პირველობა არ გათამაშდა.

**შ. აბულაძე.**

### კასპი

დამთავრდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 გუნდი. I ადგილი და გარდამავალი თასი კასპის ელექტროაპარატურის ქარხნის გუნდმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ დოესის მოჭიდავეები, ხოლო III — ხოვლეს ფალავანთა კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ო. ნიპარიშვილმა, ზ. დემეტრაშვილმა (ორივენი — ელექტროაპარატურის ქარხნიდან), ჯ. ხორბალაძემ (დოესი), რ. მაღლარიძემ, გ. ბალხამიშვილმა, ტ. ხადურმა (ყველანი — ელექტროაპარატურის ქარხნიდან), ზ. დემეტრაშვილმა (ყარაღაჯი), გ. ბიჭიკაშვილმა (ხოვლე).

**გ. კიკაჩეიშვილი.**

# გაიწია... მთავარ მსაჯზე

**ცხინვალი,** 21 მაისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი საქართველოს უძლიერეს ფალავნებს მასპინძლობს. აქ ჩამოვიდა ქართული ჭიდაობის 100-ზე მეტი მოტრფიალე. ისინი მონაწილეობენ რესპუბლიკის პირად პირველობაში, რომელშიც მხოლოდ ოსტატები და პირველთანრიგოსნები გამოდიან. შეჯიბრება გამოთიშვის სისტემით ტარდება: 6 საჯარიმო ქულის შემდეგ მონაწილე ადგილს მაყურებელთა შორის იკავებს.

ბევრი ფალავნისთვის II წრე საბედისწერო გამოდგა. 30-მა ათლეტმა მიიღო 6 საჯარიმო ქულა და სარბიელი დატოვა. კარგად გამოდიან მცხეთელი მოსწავლე გიორგაძე, გორელი სტუდენტები ბორჩაშვილი, ყაჩმაზაშვილი და კასპელი ხორბალაძე. ისინი ჯერჯერობით დაუჯარიმებლად იბრძვიან.

მოხდა ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტი: ზურაბაულისა და პეტრიაშვილის შეხვედრაში ის უკანასკნელი განაწყენდა არბიტრთა გადაწყვეტილებით და შეჯიბრების მთავარ მსაჯზე... გაიწია.

**თ. გაჩეჩილაძე.**

# სპორტული მედიცინის XVI საერთაშორისო კონგრესზე

12-16 ივნისს ჰანოვერში (გფრ) გაიმართება სპორტული მედიცინის XVI საერთაშორისო კონგრესი, რომლის ძირითადი თემაა „ფიზიკური კულტურა და ცივილიზაცია".

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სპორტკავშირის მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის დოცენტი რ. სვანიშვილი და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დ. წვერავა.

# მუშაობა გამოაცოცხლეს

დიდი ხანი როდია, რაც ტყიბულის „კოლმეურნის" საქალაქო საბჭოს სათავეში ნ. ბოჭორიშვილი ჩაუდგა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით აქაურმა სპორტსმენებმა უკვე საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს.

სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილმა სპარტაკიადამ, რომელიც ახლახან სპორტის ხუთ სახეობაში ჩატარდა, ნათელყო, რომ ტყიბულელ ახალგაზრდობას შესანიშნავი მონაცემები აქვს, მაგრამ სპორტული ბაზების უქონლობის გამო დაოსტატება აკლია.

და აი, ტყიბულელებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი საქმეს. სოფელ ორპირში უკვე მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, შენდება სტადიონი. ახალსოფელში დაიწყო მშენებლობა სპორტული კომპლექსისა, რომელშიც შედის ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომის სექტორები. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1 ივნისისთვის.

ხრესილის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ 5 წლის წინათ იყო დაგეგმილი სტადიონი, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე მომავალი ასპარეზის ადგილზე სიმინდს თესავდნენ. ახლა, როგორც იქნა, საქმეს ეშველა.

**ზ. ჯორჯაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ტყიბული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატი

# „კოლმეურნე" უძლევს

ასკ (თბილისი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:3 (1:1).

ასკ: გორგოშიძე (გოგაძე), ფხაკაძე, გეგიშვილი, კოლთსოვი, მოდებაძე, ოვანესიანი, გვასალია (ჩერამისოვი), კაპანაძე, საფარიანი (ზუბეცი), კვიტაიშვილი, სარჯველაძე.

„კოლმეურნე": მაზიაშვილი, ბერულავა, ხიზანეიშვილი, ხატიაშვილი, რუხაძე, შენგელია, ლეკვეიშვილი, ხურცია, კვარაცხელია, ანიკეევი, ბაჩუკაშვილი.

მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ეს მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, როცა სტუმრების მეკარემ ვერ შეძლო მარჯვენა ფლანგიდან კაპანაძის მიერ მოწოდებული ბურთის დაჭერა და კვიტაიშვილმა ახლო მანძილიდან იგი კარში გაიტანა — 1:0. ამ მარცხს წალენჯიხელებმა ძლიერი შეტევით უპასუხეს და გორგოშიძეს მოუხდა ანიკეევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება.

თამაში სწრაფად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აქტივობდნენ არმიელთა გარემარბები, რომელთა წინააღმდეგ სრული დატვირთვით, ორგანიზებულად თამაშობდა „კოლმეურნის" დაცვა. სტუმრების იერიში ძირითადად ცენტრში ვითარდებოდა. 39-ე წუთზე კოლმეურნე ფეხბურთელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო ბურთი და ბერულავამ გაქვითა ანგარიში — 1:1.

მეორე ტაიმი წალენჯიხელებმა კარგად დაიწყეს. მათი იერიშები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა და აი, 49-ე წუთზე ლეკვეიშვილმა დააწინაურა კიდეც თავისი გუნდი — 2:1. გავიდა 10 წუთი და ანიკეევმა მორიგი რეიდი შეასრულა მარცხენა ფლანგზე. აქედან მან ზუსტად გადააწოდა ბურთი მოპირდაპირე მხარეს მყოფ კვარაცხელიას, რომელმაც მესამედ აიძულა არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

დარჩენილ დროში თბილისელები ბევრს ეცადნენ ანგარიში ცვლილების შეტანას, მაგრამ ამაოდ.

**დ. ციმაია,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## მოკლე ამბები

● **სოხუმი, 20 მაისი.** რუსულ შაშში პროფკავშირთა პირად-გუნდურ ჩემპიონატში ქალთა შორის დიდი წარმატებით გამოვიდა „ბურევესტნიკის" ახალგაზრდული კოლექტივი, რომელშიც არც ერთი ოსტატი და ოსტატობის კანდიდატიც კი არ იყო. მიუხედავად ამისა, ბურევესტნიკელმა ქალებმა 20,5 ქულა მოაგროვეს და II ადგილი დაიკავეს. 21 ქულით I ადგილზეა „დაუგავა" (ლატვია), რომელსაც ცნობილი ოსტატი ი. ცინე მეთაურობს. III ადგილი დაიკავა „სპარტაკმა" — 20 ქულა. ამ გუნდის ლიდერია ჭადრაკის დიდოსტატის ბ. სპასკის და ირაიდა. პირად ჩათვლაში პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი მოიპოვა ოსტატმა ს. ოგოროდნიკოვამ („ტრუდი") — 7,5 ქულა 7,5-დან!

● **მოსკოვი, 20 მაისი.** გუშინ „დინამოს" სასროლეთზე დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. იგი აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების დიდი წარმატებით: სტუმართაგან მხოლოდ პოლონელმა ი. ზაპენსკიმ შეძლო I ადგილის დაკავება. სამისოდ მას „მოუხდა" პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში ერთვნული რეკორდის დამყარება — 594 ქულა 600-დან. დამყარებულ იქნა კიდევ 1 ეროვნული რეკორდი. მისი ავტორია ჰ. ი. ლენერტი, რომელმაც სტანდარტული შაშხანით სროლაში 50 მეტრზე (60 გასროლა) 570 ქულა მოაგროვა. მასპინძლებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პისტოლეტითა და სპორტული შაშხანით სროლაში. პისტოლეტით შეჯიბრებაში თხმა ოლიმპიურ რეკორდს (560 ქულას) გადააჭარბა, ხოლო ა. უდაჩინმა 1 ქულით მსოფლიო რეკორდსაც გადააბიჯა: 567 ქულა მოაგროვა. შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა არმიული შაშხანით სროლა 300 მეტრზე 3 მდგომარეობიდან (3×20). ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა მოსკოველი ი. კუდრიაშოვი, რომელმაც მაღალი შედეგი აჩვენა — 560 ქულა. ტურნირის შემდეგ შედგა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც სეზონის მთავარ შეჯიბრებებში, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს.

● **ჰამბურგი, 20 მაისი.** ადგილობრივი სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი, ხახელგანთქმული კენიელი მორბენალი კ. კეინო. 1 მილზე რბენაში იგი 1,4 წამით ჩამორჩა დასავლეთგერმანელ სტაიერს, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს ჰ. ნორპოტს. გამარჯვებულის დროა 3.58,8.

● **სოხუმი, 21 მაისი.** როცა რიგელი ა. ანდრეიკო ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის V ტურს იწყებდა, საერთაშორისო ოსტატი იყო, მაგრამ ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ ანდრეიკოს დიდოსტატის წოდება მიენიჭა. სხვათა შორის, ამ ტურში იგი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, დიდოსტატ ვ. შჩოგოლევს შეხვდა და ყაიმით დაამთავრა პარტია. 6 ტურის შემდეგ ტურნირს 5,5 ქულით ლიდერობს ხარკოველი ლ. სლობოდსკოი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ანდრეიკო, ხოლო III ადგილზეა შჩოგოლევი — 4,5 ქულა. ჰოლანდიელი ვ. ბრონსტრინგი 3,5 ქულით VI ადგილზეა.

## პოეტის ბიუსტი ჩუმქუზბაზე ავიდა

ხოხუმის დრამატიული თეატრის ტურისტებმა ნ. გაიდამაკმა, მ. ივანოვამ, ვ. იობიძემ, ლ. ტომაშევსკაიამ, ზ. უტიაშვილმა, ზ. შონიამ და სხვებმა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს კარგი საჩუქარი უძღვნეს: ლაშქრობა მოაწყეს და მწვერვალ ჩუმკუზბაზე (ზღვის დონიდან 2.800 მ) ჩვენი დიდი პოეტის ბიუსტი აიტანეს.

კინომოყვარულმა ვ. სმირნოვმა ეს საინტერესო ლაშქრობა ფირზე აღბეჭდა. ფილმს მალე მოსკოვის ტელეეკრანზე უჩვენებენ.

**ნ. მიქაშავიძე,**
ლაშქრობის ხელმძღვანელი.
ხოხუმი.

# შიშა პანგმა — ბოლო რვაათასიანი

ჩვენი საუკუნის 50-ან წლებამდე დედამიწის რუკაზე ჯერ კიდევ იყო „თეთრი ლაქა" — ე. წ. მესამე პოლუსი ანუ უმაღლესი, ზღვის დონიდან 8.000 მეტრზე აზიდული ბუმბერაზი მწვერვალები ჰიმალაებსა და ყარაყორუმში.

ბრძოლა მათი დაპყრობისათვის რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა.

პირველი რვაათასიანი მწვერვალი აიღეს საფრანგეთის ექსპედიციის წევრებმა მორის ერცოგმა და ლუი ლაშენალმა 1950 წელს. ეს იყო ანაპურნა, ნეპალში, სიმაღლით მეათე მწვერვალი მსოფლიოში (8078 მ).

1953 წლის 29 მაისს ინგლისის ექსპედიციის მონაწილეებმა, ახალზელანდიელმა ჰილარმა და შერპმა თენსინგმა დაიპყრეს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (8848 მ).

გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა და ათიოდე წლის მანძილზე დაპყრობილ იქნა კიდევ 11 რვაათასიანი მწვერვალი. დარჩა ერთი, ყველაზე მიუვალი და შეუსწავლელი, 8013 მ სიმაღლის შიშა პანგმა (გოსაინთანი).

შიშა პანგმას შესახებ მსოფლიო გეოგრაფიულ ლიტერატურაში ერთობ ძუნწი ცნობები მოიპოვება. მწვერვალის დაპყრობამდე მის რაიონში მხოლოდ რამდენიმე ევროპიელი მოგზაური და მთამსვლელი იყო ნამყოფი. იგი აღმართულია სამხრეთ ტიბეტის ნინიამის პროვინციაში და ცნობილია, როგორც ჰიმალაების ქედის ერთ-ერთი უდიდესი მწვერვალი, თუმცა კი ამ ქედის ჩრდილოეთ განტოტებაზე, ჯომოლუნგმიდან ჩრდილო-დასავლეთით 120 კმ-ზე მდებარეობს. მისი დასავლეთი — მთავარი მწვერვალი 8013 მ სიმაღლისაა, ხოლო აღმოსავლეთი — 7661 მ. ტოპოგრაფიულ რუკებზე იგი აღნიშნულია როგორც პიკი XXIII. მისი მეორე სახელწოდება გოსაინთანი სანსკრიტულ ენაზე „ღმერთის ადგილსამყოფელს" ნიშნავს.

მწვერვალის ჩრდილო და აღმოსავლეთი კალთები ციცაბო კლდოვანი და ყინულოვანი „საფეხურებია", სადაც ადამიანი ფეხს ვერ მოიკიდებს, ხოლო სამხრეთი კალთა თითქოს ვიღაცის გოლიათურ ხელს ჩამოუკვეთია, რათა მწვერვალის ამ მხრიდან დაპყრობა შეუძლებელი გაეხადა. ალპინისტური თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია ასასვლელად შიშა პანგმას აღმოსავლეთი კალთა და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, ხოლო ნეპალის ტერიტორიიდან მის დასავლეთ მხარეზე ასვლა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად მრავალი სიძნელისა, უკანასკნელი რვაათასიანი 1964 წლის 2 მაისს დაიპყრო ათმა ჩინელმა მთამსვლელმა. ექსპედიციის გამგზავრებამდე შიშა პანგმაზე რამდენიმე სადაზვერვო ჯგუფი გაიგზავნა. ეს ჯგუფები 7160 მ სიმაღლეზე ავიდნენ, შეისწავლეს რაიონის ბუნებრივი პირობები, გადაიღეს ფოტოსურათები და შეადგინეს მწვერვალის სქემა.

ექსპედიციის 195 წევრი ოფიციალურად 1964 წლის დამდეგს გამოცხადდა. ექსპედიციის ბირთვს შეადგენდნენ ჩინური ალპინიზმის ვეტერანები და ახალგაზრდა მთამსვლელები, რომელთაგან უმცროსი 19 წლისა იყო. სპორტული ინტერესების გარდა, ექსპედიციას სამეცნიერო მიზნებიც ჰქონდა.

1964 წლის 18 მარტს მოეწყო საბაზო ბანაკი მწვერვალის ჩრდილო კალთაზე, 5.000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ჩრდილო კალთაზე 5.300 მ და 6.700 მ შორის იწყება 30-კილომეტრიანი იებოკანგალის ყინვარი. საბაზო ბანაკიდან მწვერვალისკენ ექსპედიციის მარშრუტი სწორედ ამ ყინვარზე მიემართებოდა.

ჰიმალაებში ასვლებისთვის მხოლოდ აპრილი და მაისია გამოსადეგი. მთამსვლელებს ამინდი არ წყალობდა. ისეთი ქარი ამოვარდა, არა თუ სიარული და სასიმაღლო ბანაკებში ტვირთის აზიდვა, ფეხზე დგომაც კი უჭირდათ. მწვერვალის კალთებს თოვლისა და ყინულის უზარმაზარი ზვავები წყდებოდა და ხეობას ჭექა-ქუხილითა და თოვლის მტვრის ღრუბლებით ავსებდა.

მთამსვლელთა უმრავლესობამ აკლიმატიზაცია საბაზო და სასიმაღლო ბანაკების მომზადების პროცესში მიიღო.

რამდენიმე დღის შემდეგ ექსპედიციამ მწვერვალის საიერიშოდ მზადება დაიწყო. მძიმედ დატვირთული მთამსვლელთა ჯგუფები, მიუხედავად ავდრისა, ქვედა და სასიმაღლო ბანაკებს ამარაგებდნენ. ასე მოეწყო პირველი და მეორე ბანაკები 5.300 და 5.800 მ სიმაღლეზე. განსაკუთრებით გაჭირდა მესამე ბანაკის მოწყობა (6.300 მ), ვინაიდან მძიმედ დატვირთულ მთამსვლელებს, სიმაღლის გარდა, ტექნიკურად რთული მონაკვეთების დაძლევაც უხდებოდათ. მხოლოდ 6 აპრილს დამთავრდა მეოთხე ბანაკის მომარაგება. ამ ბანაკებში სულ 5 ტონა საექსპედიციო საჭურველი და სურსათი განაწილდა.

25 მარტს მწვერვალის ზედა ფერდობების დასაზვერად და შემდეგი ბანაკებისთვის ადგილის შესარჩევად IV ბანაკიდან გავიდა 37 მთამსვლელი იენ ტუნგ-ლიანგისა და ლიუ ლიენ-მანის ხელმძღვანელობით. ამავე დროს, 20 უძლიერესი მთამსვლელისგან შემდგარი საიერიშო ჯგუფი 6.600 მეტრ სიმაღლეზე ავიდა აკლიმატიზაციის მისაღებად.

21 აპრილს მოეწყო და მომარაგდა კიდევ ორი ბანაკი: მეხუთე — 7.500, მეექვსე — 7.700 მ სიმაღლეზე, მწვერვალიდან სულ 312 მეტრის დაშორებით.

25 აპრილს მეტეოსადგურმა გადმოსცა ცნობა, რომ შიშა პანგმას რაიონში ერთი კვირის მანძილზე კარგი ამინდი იყო მოსალოდნელი. საიერიშო ჯგუფი, რომელიც 13 კაცისგან შედგებოდა, მწვერვალისკენ გავიდა. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო შუ ჩინგი.

მიუხედავად ცვალებადი ამინდისა, 27 აპრილის საღამოს, ჯგუფმა მესამე ბანაკს მიაღწია. დილით შესანიშნავი ამინდი დადგა. მთამსვლელები სწრაფად მოემზადნენ და ასვლა დაიწყეს. წინ თოვლის ველი გადაჭიმული იყო სადღაც ზევით, 6.900 მ სიმაღლეზე, მეოთხე ბანაკი ეგულებოდათ. ჯგუფი სწრაფად მოძრაობდა. ყინულის უზარმაზარ საფეხურზე ასვლის შემდეგ ბანაკი უნდა დაენახათ, მაგრამ ღრმა თოვლს არა მარტო კარვები, არამედ გზის აღმნიშვნელი, მაღალ ჯოხებზე დამაგრებული ალმებიც კი დაეფარა. სიმაღლემ და დაღლამ თავისი გაიტანეს, მოძრაობის ტემპმა თანდათან იკლო. ქანცგაწყვეტილმა ჯგუფმა მხოლოდ 2 საათის შემდეგ მიაღწია კარვებს.

29 აპრილს ასვლა უნდა გაეგრძელებინათ, მაგრამ გარეთ ქარბუქი მძვინვარებდა და რამდენიმე ათეულ მეტრზე არაფერი ჩანდა. ჯგუფი იძულებული გახდა ბანაკში დარჩენილიყო.

დილით გამოიდარა. მთამსვლელები ადრე გავიდნენ და ყინულის გრძელი, 40-გრადუსიანი დახრილობის ფერდობით დაიწყეს ასვლა. ყინული მუხლამდე იყო დაფარული ფხვიერი თოვლით, ეს კი ჯგუფს სწრაფი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. თითქმის რვასაათიანი დაძაბული ასვლის შემდეგ ჯგუფმა მიაღწია მეხუთე ბანაკს. იქ, სადაც კარვები იდგა ან საჭურველი ეწყო, თოვლის გლუვი ქუდები მოჩანდა. მთამსვლელებმა თოვლის თხრა დაიწყეს და მხოლოდ ორსაათიანი გააფთრებული მუშაობის შემდეგ შეძლეს კარვებში შეძრომა.

1 მაისს ჯგუფმა მიაღწია საიერიშო ბანაკს (7.700 მ). საღამოს საბაზო ბანაკიდან მიღებული რადიოგრამა იტყობინებოდა, რომ დილით მწვერვალზე კარგი ამინდი იყო მოსალოდნელი. „სამხედრო თათბირმა" დაადგინა, რომ მწვერვალის საიერიშოდ გავიდოდა 10 კაცი, ხოლო დანარჩენი 3, ვინც სიმაღლის გამო თავს ცუდად გრძნობდა, საიერიშო ბანაკში დარჩებოდა და მწვერვალზე წასულთ დაელოდებოდა.

2 მაისს, დილის 6 საათზე, საიერიშო ჯგუფის მონაწილენი თოკებში ჩაებნენ და ბანაკიდან გავიდნენ.

ახლა ჯგუფი 7.800 მ სიმაღლეზე 50-გრადუსიანი დაქანების ყინულის ფერდობზე მოძრაობდა. დილის სხივებში მყიფე ყინული მომწვანოდ ანათებდა. შუ ჩინგი ჯგუფს მიუძღოდა და პალოებზე თოკს ამაგრებდა. დანარჩენები ამ მოაჯირს მიჰყვებოდნენ. ფერდობის ბოლოს ვანგ ფუ-ჩიუს ფეხქვეშ ყინული ჩაექცა, იგი ყვირილით დაგორდა და მხოლოდ 20 მეტრის შემდეგ შეაჩერა ამხანაგების მიერ დაჭიმულმა თოკმა. ეს მონაკვეთი ოციოდე მეტრის სიგრძისა თუ იქნებოდა, მაგრამ ჯგუფს მის დასაძლევად ნახევარი საათი დასჭირდა.

ყინული გათავდა და მთამსვლელები 45-გრადუსიანი დახრილობის მკვრივ, მოლიპულ თოვლის ფერდობზე თითქმის ფორთხვით ავიდნენ. სუნთქვა ეკვროდათ, ნაპირზე ამოყრილი თევზებივით ყლაპავდნენ ჰაერს, ფილტვებში თითქოს ტყვია ესხათ.

თოვლის ფერდობზე ხანმოკლე შესვენების შემდეგ ჯგუფმა კიდევ 50 მეტრით წაიწია წინ და მუხლამდე თოვლით დაფარულ, მცირე დაქანების ქედზე გავიდა.

ზევით, სულ ათიოდე მეტრში, მწვერვალი ჩანდა. ჯგუფი იმდენად დაღლილი იყო, რომ იქ ასვლამდე კიდევ ერთხელ შეისვენა. ქარი სულ უფრო მძლავრდებოდა. ხოკოსმაგვარი თოვლის ლავგარდანის შემდეგ თხემი ბოლოვდებოდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მთამსვლელებმა შიშა პანგმას უმაღლეს წერტილზე შედგეს ფეხი.

ამ ხუთიოდე კვადრატული მეტრის, თოვლ-ყინულოვანი სამკუთხა მოედნიდან შესანიშნავი ხედი გადაიშალა. ქარი წამში 25 მ სიჩქარით ჰქროდა და მთამსვლელებს გადაყრით ემუქრებოდა.

2 მაისს, დილის 10 საათსა და 20 წუთზე, მთიერიშე ჯგუფის უკანასკნელმა მთამსვლელმა მიაღწია მწვერვალს. გამარჯვების ამბავი მაშინვე რადიოთი შეატყობინეს საბაზო ბანაკს.

1 საათის შემდეგ მთამსვლელებმა სამ ჯგუფად დაიწყეს დაშვება და ნაშუადღევს საიერიშო ბანაკს მიაღწიეს. კიდევ 2 დღე და გამარჯვებულებს საბაზო ბანაკში მეგობრები ეხვეოდნენ და უკანასკნელ რვაათასიანზე გამარჯვებას ულოცავდნენ.

ახლა, როცა მსოფლიო ალპინიზმი, როგორც სპორტი, არსებობის საუკუნეს ითვლის, როდესაც დაპყრობილია მსოფლიოს თოთხმეტივე უმაღლესი მწვერვალი, იწყება ალპინიზმის ახალი ხანა. მსოფლიოს უმაღლეს მთიან სისტემებში თანამედროვე მთამსვლელები ტექნიკურად უფრო რთულ, უფრო საინტერესო მარშრუტებს ირჩევენ, ვიდრე მათი წინამორბედნი. ამის საშუალებას იძლევა გაუმჯობესებული საჭურველი, სპეციალური მომზადება და ის დიდი გამოცდილება, რომელიც ახალგაზრდა მთამსვლელებს მათმა მასწავლებლებმა და უფროსმა კოლეგებმა უანდერძეს.

**დ. სიმონიშვილი.**



სურათზე: შიშა პანგმა. მთამსვლელები 7.800 მ სიმაღლეზე.

# ოლიმპიური ჩემპიონი და მილიონერი

როცა დასავლეთგერმანული ჟურნალის „შტერნის“ რეპორტიორები მაინის ფრანკფურტში ჩავიდნენ ცნობილი საქმოსნის, მილიონერ ფრაიტაგისაგან ინტერვიუს მისაღებად, ამ უკანასკნელმა მათ შესახვედრად „თავისი კაცი“ გაგზავნა. ჟურნალისტები ჯერ თვითმფრინავიდან გადასული არ იყვნენ, რომ მათ წინ თავი პირმოთნედ დახარა აკვალთულმა ქერა მამაკაცმა. რეპორტიორს რით გააკვირვებ და მაინც, როცა დამხვდურმა თავი წარუდგინა, სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ეს იყო ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში ვილი ჰოლდორფი, სწორედ ის ჰოლდორფი, ვისაც ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ მთელი დასავლეთგერმანული პრესა მისი „ქვეყნის სახელსა და დიდებას“ უწოდებდა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა გასაკვირია? გფრ-ის პრესამ გული მოიჯერა და მიივიწყა „ათლეტების მეფე“. ჰოლდორფს კი ჭამა უნდოდა. ადგა და მილიონერ ფრაიტაგს დაუდგა ხელზე მოსამსახურედ. სახელგანთქმულმა სპორტსმენმა რეკლამა უნდა გაუკეთოს ფრაიტაგის აგებულ სახლებს და მათი გაყიდვის საქმეები მოაგვაროს.

„ოლიმპიური ჩემპიონი ვილი ჰოლდორფი არავის აინტერესებდა. მე, კი მას ფულს ვაკეთებინებ, — განაცხადა ფრაიტაგმა. — არ გეგონოთ, იმიტომ ავიყვანე, რომ მისი სახელი კარგი რეკლამაა ბიზნესისთვის. არა, უბრალოდ, ეს ადამიანი მომწონს, როგორც სპორტსმენი“.

აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ქურდს ქუდი ეწვისო. მილიონერი თავს იმართლებს ისე, რომ ბრალდებას არც კი უცდის. ჟურნალი „შტერნი“ კი მის სიტყვებს ბეჭდავს და თავს გვაჩვენებს, რომ ყველაფერი დაიჯერა. ამ სურათზე, რომელიც „შტერნიდან“ გადმოვბეჭდეთ, თქვენ ხედავთ, რა გულდასმით უსმენს ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი, ამჟამად კომივოიაჟერი ვ. ჰოლდორფი (შუაში) თავისი პატრონის განკარგულებებს. ფრაიტაგი საგანგებოდ გამოწყობილა მუშის კოსტუმში, ალბათ, რომ უფრო „დემოკრატიული“ გამოჩნდეს.

ა. გურკოვი.






# მსუბუქიდან — საშუალო წონაში

ნიუ-იორკი. „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში 15 ათასი მაყურებელი დაესწრო პროფესიონალ მოკრივეთა მატჩს მსოფლიო პირველობაზე ე. გრიფიტსსა და დ. ტაიგერს შორის გრიფიტსი აქამდე ატარებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, ოღონდ მსუბუქ წონაში. ამჯერად მან ძალები საშუალო წონაში სცადა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროფესიული კრივის ისტორიაში ასეთი რამ მხოლოდ ორჯერ მოხდა და ორივეჯერ ქვედა წონიდან გადასულებმა წარმატებას მიაღწიეს (1951 წელს რ. რობინსონმა, 1957 წელს — კ. ბაზილიომ). გრიფიტსი „იღბლიანთა“ მესამე წარმომადგენელი გახდა.

ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი მე-9 რაუნდი გამოდგა, როდესაც გრიფიტსმა მეტოქე ძლიერი მარჯვენა დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა. 15-რაუნდიან ბრძოლაში 36 წლის ტაიგერი ქულებით დამარცხდა.

გამარჯვებულმა მოკრივემ ბრძოლის შემდეგ კორესპონდენტებს განუცხადა: „ნოკაუტით მოგებას მე არც ვცდილობდი. ჩემი მთავარი ამოცანა რინგზე სწრაფი გადაადგილება და შეტევის წარმართვისთვის ხელსაყრელი მომენტის შერჩევა იყო. ვფიქრობ, მწვრთნელის ყველა მითითება ზუსტად შევასრულე“.

(საქ. ინფ.).

# ვიტლაჩილი სიძნელეების წინაშე

ბულგარეთის ნაკრების ხელმძღვანელი რ. ვიტლაჩილი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ნაკრები ვერ იწყებს საბოლოო მზადებას, ვინაიდან ბრძოლა ბულგარეთის პირველობაზე მეტად გაცხარდა და ეროვნული ფედერაცია უარს ამბობს გადადოს მატჩები. სერიოზულად დაშავდა ინგლისში გამგზავრების ხუთი ძირითადი კანდიდატი: ასპარუხოვი, იაკიმოვი, აბაჯიევი, ვუცევი და კოლევი.

ასეთ პირობებში ვიტლაჩილს მიაჩნია, რომ საჭიროა ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრება შემოდგომისთვის გადაიდოს. იგი მოითხოვს რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო ამხანაგური თამაშის დაგეგმვას და უჩივის უხეშობის ზრდას კალენდარულ შეხვედრებში.

## „სამფეროვნები“ მოსკოვის მატჩის წინ

5 ივნისს მოსკოვში თამაშის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ა. გერენი აპირებს ფიფა-ს აცნობოს ინგლისში მოასპარეზე 22 ფეხბურთელის საბოლოო სია.

ერთი წლის განმავლობაში ფრანგული ფეხბურთის წრეებში ფრიად ოპტიმისტური განწყობილება სუფევდა. 1965 წლის 18 აპრილის შემდეგ „სამფეროვანთა“ ნაკრები დაუმარცხებლად იბრძოდა. ფრანგებმა სძლიეს იუგოსლავიელებს, ნორვეგიელებსა და ლუქსემბურგელებს, ფრედ ითამაშეს არგენტინასთან, ბელგიასა და იტალიასთან.

ამის შემდეგ პარიზში ბელგიელებთან სასტიკმა დამარცხებამ (0:3) თითქოს თვალი აუხილა ფრანგ გულშემატკივარს — გუნდი მოუმზადებელია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ახლა მიმომხილველები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საფრანგეთის ნაკრების არც ერთი რგოლი არ შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ და საჭიროა დიდი რეფორმები. ისინი მოითხოვენ ნაკრებში შეიყვანონ ცენტრალური მცველი ლემერი, ნახევარმცველი მარიანი (რომელიც ბელგიაში თამაშობს), „ბორდოს“ თავდამსხმელები კოკი და დე ბურგოანი, გამოჩენილი ნახევარმცველი მიულერი და ცენტრფორვარდი კომბენი.

გერენმა განაცხადა, რომ მიულერი დაბრუნდება ესპანეთიდან, სადაც იგი დიდი წარმატებით თამაშობს „ბარსელონაში“ და უეჭველად გამოვა მოსკოვში. უფრო პრობლემატურია ცნობილი თავდამსხმელის კომბენის საკითხი, რომელიც იტალიის „ვარეზეში“ გამოდის.

დაისვა საკითხი ორი განთქმული ვეტერანის — კოპასი და ვისნიესკის ნაკრებში დაბრუნების შესახებ. 35 წლის კოპა ახლა ბრწყინვალე ფორმაშია. მან დიდად შეუწყო ხელი „სტად დე რეიმსის“ დაბრუნებას I ლიგაში. ვისნიესკი, რომელიც ბელგიაში თამაშობს, კვლავინდებურად შედეგიანად, სწრაფად მოქმედებს. მწვრთნელი გერენი ბოლო დრომდე ფრიად სკეპტიკურად ეკიდებოდა ორივე ვეტერანს, მაგრამ ახლა, მიმომხილველთა დიდი დაწოლის შემდეგ შესაძლოა „კაპიტულაცია“ მოახდინოს.

## დიდი რეფორმები არგენტინაში

„თამაში, თამაში და კიდევ თამაში! აი, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების საუკეთესო საშუალება“, — განაცხადა არგენტინის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ხუან კარლოს ლორენცომ.

ლორენცო ნაკრებში მოსვლისთანავე სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. მოწინავე გუნდების მოთამაშეთა ნაწილი გაიფიცა, ვინაიდან მათი ჰონორარი უფრო მცირეა, ვიდრე სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე ფეხბურთელებისა და მათთვის ნაკრებში გამოსვლა მატერიალურად ხელსაყრელი არაა. ლორენცომ მიაღწია იმას, რომ ნაკრების მოთამაშეებს მოუმატეს გასამრჯელო. ახალი მწვრთნელი მოელაპარაკა მოწინავე კლუბების ხელმძღვანელებს დროულად გაათავისუფლონ ფეხბურთელები ნაკრებში გამოსვლების წინ.

ლორენცოს მიაჩნია, რომ ადრინდელმა მწვრთნელმა ზუბელდიამ გუნდი უხეიროდ შეადგინა, ამიტომ ინგლისში გამგზავრების 33 კანდიდატიდან ლორენცომ დატოვა მხოლოდ 18, რითაც დიდი პოლემიკა გამოიწვია პრესაში. გარდა ამისა, მან ახლებურად დაგეგმა არგენტინელთა ტურნე ევროპაში.

## როცა დამარცხება სასიხარულოა

ურუგვაის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის კარგა ხანს ემზადებოდა მოწინავე კლუბების — „პენიაროლისა“ და „ნასიონალის“ მოთამაშეთა გარეშე, რომლებიც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ. ამიტომ ნაკრების მწვრთნელი ო. ვიერა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა „ნასიონალის“ მარცხს ამ შეჯიბრებაში: მან დაუყოვნებლივ შეიყვანა ამ კლუბის 16 ფეხბურთელი ნაკრებში.

ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელობა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: გუნდს არა აქვს სათანადო თანხა, რათა მსოფლიო ჩემპიონატის წინ საჭირო შეკრება გამართოს ინგლისში აკლიმატიზაციის მიზნით. ამიტომ ვიერა მოელაპარაკა ევროპის მთელ რიგ გუნდებს ივნისში ურუგვაელთა საჩვენებელი მატჩების გამართვის თაობაზე.

ტურნეში ურუგვაელებს ვიერას გარდა წაჰყვება 60 წლის მწვრთნელი ლოპესი. ურუგვაელ ჟურნალისტთა ცნობით, იგი უიმედოდ ჩამორჩა თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკაში, მაგრამ მისი პიროვნება მოთამაშეებზე გამამხნევებლად მოქმედებს. სწორედ ლოპესის ხელმძღვანელობით მოიგეს ურუგვაელებმა 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონთა წოდება.

ფეხბურთი

# „ნანტმა“ შეინარჩუნა უმაღლესი წოდება

საფრანგეთის ჩემპიონატის 35-ე ტურში „ნანტმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო „სოშო“. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ ნანტელებმა ტურემ და სიუოდომ შარშანდელ ჩემპიონს გამარჯვება (2:1) მოუტანეს, რამაც „ნანტს“ წლეულსაც შეუნარჩუნა უმაღლესი წოდება. გათამაშების დამთავრებამდე კი 3 ტური დარჩა...

საფრანგეთის სპორტულ პრესას ორი აზრი არ გააჩნია, რომ „ნანტი“ უძლიერესი გუნდია, მაგრამ რატომ უგულებელყოფს ნაკრების მწვრთნელი ა. გერენი ჩემპიონის ფეხბურთელებს? ნუთუ ბუძინსკისა და გონდეს გარდა არავინაა ღირსი საფრანგეთის ფეხბურთის სახელი დაიცვას ლონდონში? — აი, რას წერენ ფრანგი ფეხბურთის სპეციალისტები.

ჩემპიონის კარს იცავს ახალგაზრდა მეკარე ეონი. მცველები გრაბოვსკი, ლე შენადეკი, ბუძინსკი, დე მიშელი სწრაფი და კარგი ტაქტიკური ალღოს მქონე ფეხბურთელებია. ნახევარდაცვაში გამოირჩევა გუნდის კაპიტანი სიუოდო, ახალგაზრდა მიულერს კი ამომავალ ვარსკვლავად თვლიან. თავდასხმაში თამაშობს საფრანგეთის საუკეთესო სნაიპერი ფ. გონდე (32 გოლი). მეორე ცენტრფორვარდ ჟ. სიმონს 14 ბურთი აქვს გატანილი.



ბრაზილიის ნაკრების წევრი რილდო.
მეგობრული შარჟი
გ. ფირცხალავასი.

### ესპანეთის თასი

მეოთხედფინალური მატჩების შედეგები ასეთია: მადრიდის „ატლეტიკო“ — ბილბაოს „ატლეტიკო“ 1:0, „ბეტისი“ (სევილია) — „რეალ-მადრიდი“ 3:2, „საბადელი“ — „რეალ-სარაგოსა“ 1:1, „ბარსელონა“ — „ელჩე“ 1:0.

გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდებიან ნახევარფინალისტები.

### პორტუგალიის თასი

თასის შარშანდელმა მფლობელმა — სეტუბალის „ვიტორიამ“ მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში დაამარცხა „ბეირა მარი“ (3:0) და ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ლისაბონის „სპორტინგმა“ ვერ სძლია „ბრაგას“ — 1:1 (პირველ მატჩშიც ასეთივე ანგარიში იყო) და ჩატარდება მესამე დამატებითი შეხვედრა.

# რა ხდება ბრაზილიელთა შეკრებაზე?

ბრაზილიელთა საწვრთნელი შეკრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ საყოველთაო ინტერესს იწვევს. გუნდი ხშირად ვარჯიშობს წვიმიან ამინდში ან სპეციალურად ატალახებულ მინდორზე, ვინაიდან ბრაზილიელები ინგლისში სწორედ ასეთ პირობებს ელიან.

ბრაზილიის ნაკრების საკონტროლო მატჩებმა გუნდის ხელმძღვანელობა გარკვეულ დასკვნებამდე მიიყვანა. ახლა თავდასხმის ცენტრში ისევ ფლავიო გამოდის პელეს მხარდამხარ, თუმცა რამდენიმე ხნის წინ აქ სერვილიოს ამჯობინებდნენ. შეკრების ყველაზე დიდ სენსაციად მიაჩნიათ 16 წლის მარცხენა გარემარბის ედუარდო ამერიკოს დაწინაურება პირველ ნაკრებში.

ნაკრები გუნდების საწვრთნელი მატჩები დიდი სიმწვავით ხასიათდებოდა, რის შედეგადაც იმატა ტრავმებმა. დაზარალდნენ ბელინი, ზიტო, გარინჩა და ჟაირზინიო... გარინჩა მალე განიკურნა. სხვათა შორის, მან ყველა საწვრთნელი შეხვედრა მშვენივრად ჩაატარა და მესამე ნაკრებიდან, სადაც იგი თავდაპირველად გააწესეს, პირველში გადავიდა.

# ბაროტი კრიტიკის ქარცეცხლში

პოლონელებთან (1:1) და იუგოსლავიელებთან (0:2) უკანასკნელი შეხვედრების წარუმატებლად დამთავრების შემდეგ უნგრეთის პრესამ „ცეცხლი გაუხსნა“ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბაროტის. ბუდაპეშტის გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა“ გამოაქვეყნა ბაროტის კარიკატურა. იგი რუკასთან დგას და ამბობს: „მე ვეძებ ისეთ ადგილს, სადაც უნგრეთის ნაკრები ჯერ კიდევ არ დამარცხებულა.“

უნგრელი მიმომხილველები წერენ, რომ ეროვნული ნაკრების თამაში ჯერ კიდევ ვერ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ეს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს შეეფერება.

პრესის კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ბაროტი ფრიად ოპტიმისტურადაა განწყობილი და მიიჩნევს, რომ უნგრელებს ბრაზილიასთან ერთად არ გაუჭირდებათ გაიკვლიონ გზა მეოთხედფინალისკენ, თუმცა მათ მეტად არახელსაყრელი კალენდარი აქვთ.

### გასწორება

„ლელოს“ 21 მაისის ნომერში მე-2 გვერდზე დაბეჭდილი წერილის „შარშან უკეთესად, ვიდრე შარშანწინ, წლეულს მეტია საჭირო“ ქვესათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენცია“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  უე 04959